- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

საქართველო. შპს "ბაზისი XXI" * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296

შემთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	შპს „ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963წ.
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
ოჯახური მდგომარეობა	აუტანელი
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	38 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	23 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი; შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2024წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	12.12.2024წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება:
მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე

სახელმწიფო ლიცენზია

სლც №: 4177

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე

ეძლევა *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „ბაზისი XXI"*

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის № 63-ა

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა *უვადო*

ლიცენზია გაცემულია *11.12.2004წ.*

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, სპეციალიზებული მუდმივმოქმედი სალიცენზიო-სანებართვო კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ ლეჟავა

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე
№4177 სახელმწიფო ლიცენზიის
დანართი

ჩამონათვალი

საპროექტო – სამშენებლო საქმიანობის სახეებისა, რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა შპს-ს „ბაზისი XXI“

1. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება (მ.შ. ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება):*
   - საცხოვრებელი შენობები:
   ბ. ხუთსართულიანი (მანსარდის ჩათვლით);
   - საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები:
   ბ. ხუთ სართულამდე ან 18 მ. სიმაღლის და დახურული საშუალო სირთულის კონსტრუქციის დარბაზები.
2. *სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:*
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;
   - სამრეწველო ობიექტები:
   ა. მცირე სიმძლავრის.
3. *პროექტების ექსპერტიზა:*
   - საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები.
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;

გაცემულია 2004 წლის 14 დეკემბერს.

სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ალბერტ ჯანელიძე

საქართველო. შპს „ბაზისი XXI“ * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296

შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID: 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№531/24

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“ (ID: 202235296)
№63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„16“ დეკემბერი 2024წ

კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქი თბილისი, ზაჰესი, ქუჩა მშვიდობის, №104 ; ქალაქი თბილისი, დასახლება ზაჰესი, ქუჩა მშვიდობა, №104-ის მიმდებარედ, შპს „ტრანს ბარანტი“-ს (ID: 200254802) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.72.12.094.002, ასაშენებელი III კლასის სასაწყობე შენობის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების, ამავე და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ, ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიას, ამავე და მის მომიჯნავე ნაკვეთებზე მდებარე შენობებს, მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.72.12.094.002, ასაშენებელი III კლასის სასაწყობე შენობის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების, ამავე და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის დასადგენად, ასევე განხილული იქნა ასაშენებელი III კლასის სასაწყობე შენობის საპროექტო დოკუმენტაცია:

1. კონსტრუქციული ნაწილი, წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები;
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „Lira-sapr“-ის საშუალებით, ელექტრონული ვერსიის სახით.

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი გეოფიზიკური და კლიმატური მონაცემებით:

- სეისმურობა 8 ბალი (MSK 64 სკალის მიხედვით, ქალაქი თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, ჰორიზონტალური აჩქარება შეადგენს: A=0.17g)
- ქარის ნორმატიული დაწნევა შეადგენს: 85,0კგძ/მ^2;
- თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს: 50,0კგძ/მ^2;
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი (ფანა №2, სგე-I), პირობითი საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე ბუნებრივი ტანიანობის მდგომარეობაში: R$_0$=2,50კგძ/სმ^2; დეფორმაციის მოდულით: E=150,0კგძ/სმ^2.

საპროექტო საწყობის შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა. საპროექტო ნაგებობის გაბარიტული ზომები ძირითად „1“-„7“ და „ა“-„ბ“ ღერძებს შორის შეადგენს: 35,70X6,00მ. საპროექტო საწყობის შენობა სამსართულიანია, ორი მიწისზედა და სარდაფის ერთი სართულით. საპროექტო საწყობის შენობის სარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს 2,60 მეტრს. I სართულის სიმაღლე შეადგენს 3,80 მეტრს, II სართულის სიმაღლე შეადგენს 3,30 მეტრს.

საპროექტო საწყობის შენობის მაქსიმალური მალი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 6,15მ; მაქსიმალური მალი განივი მიმართულებით შეადგენს: 6,00მ.

საპროექტო საწყობის შენობის პირობით ნიშნულს: ±0.00-ს (მიწისზედა I სართულის იატაკის დონეს), შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული: +510,70მ.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით, საპროექტო საწყობის შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა.

საპროექტო საწყობის შენობის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ლენტური ტიპის სახით, სვეტების და კედლების ქვეშ, განივი კვეთებით: 200X40(h)სმ და 230X40(h)სმ; საპროექტო შენობის ქვაბულის და საძირკვლების ძირის მაქსიმალური ჩაღრმავება მიწის არსებული ზედაპირიდან შეადგენს: 3,40 მეტრს, მინიმალური ჩაღრმავება მიწის არსებული ზედაპირიდან შეადგენს: 1,00 მეტრს.

საპროექტო III კლასის სასაწყობე შენობას:

<u>აღმოსავლეთის მხრიდან:</u>

დიდ ნაწილში ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, არანაკლებ 11,0 მეტრის მანძილზე. შემდეგ ესაზღვრება: მომიჯნავე მიწის ნაკვეთის, ს.კ. № 72.12.01.833 ეზო, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია. აღმოსავლეთის მხრიდან, საპროექტო შენობასთან მიმართებაში, მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განხილვის თვალსაზრისით საყურადღებო მანძილზე (10,0 მეტრი და ნაკლები), შენობა-ნაგებობები არ დგას.

მცირე ნაწილში (0,50 მეტრიან მონაკვეთში: „1“ ღერძის გარეთ, „ბ“ ღერძთან) ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე, ერთსართულიანი, უსარდაფო სასაწყობე შენობა №03/1. არსებული შენობა №03/1 დაშორებულია საპროექტო სასაწყობე შენობიდან 2,0 მეტრით. ამ ნაწილში საპროექტო შენობის ქვაბულის და საძირკვლების ძირის მაქსიმალური ჩაღრმავება მიწის არსებული ზედაპირიდან შეადგენს: 1,00 მეტრს. საპროექტო საწყობის შენობის საძირკვლები განთავსდება მომიჯნავე შენობა №03/1-ის საძირკვლების ძირის დონეზე, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საპროექტო საწყობის სამშენებლო სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა №03/1-ის არსებულ ტექნიკურ მდგომარეობაზე.

<u>დასავლეთის მხრიდან:</u>

ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო, არანაკლებ 12,00 მეტრის მანძილზე. დასავლეთის მხრიდან, საპროექტო შენობასთან მიმართებაში, ამავე და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე განხილვის თვალსაზრისით საყურადღებო მანძილზე (10,0 მეტრი და ნაკლები), შენობა-ნაგებობები არ დგას.

<u>ჩრდილოეთის მხრიდან:</u>

ესაზღვრება ქალაქი თბილისი, არსენ ოქროჯანაშვილის ქუჩა, სიგანით: 18,0 მეტრი.

ჩრდილოეთის მხრიდან, საპროექტო შენობასთან მიმართებაში, განხილვის თვალსაზრისით საყურადღებო მანძილზე (10,0 მეტრი და ნაკლები), შენობა-ნაგებობები არ დგას.

<u>სამხრეთის მხრიდან:</u>

ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე, ერთსართულიანი, უსარდაფო სასაწყობე შენობა №01/1. არსებული შენობა №01/1 დაშორებულია საპროექტო სასაწყობე შენობიდან 1,0 მეტრით. მომიჯნავე ნაწილში, საპროექტო შენობის ქვაბულის და საძირკვლების ძირის მაქსიმალური ჩაღრმავება მიწის არსებული ზედაპირიდან შეადგენს: 1,00 მეტრს. საპროექტო საწყობის შენობის საძირკვლები განთავსდება მომიჯნავე შენობა №01/1-ის საძირკვლების ძირის დონეზე, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საპროექტო საწყობის სამშენებლო სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა №01/1-ის არსებულ ტექნიკურ მდგომარეობაზე.

<u>დასკვნა:</u>

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს რომ ქალაქი თბილისი, ზაჰესი, ქუჩა მშვიდობის, №104 ; ქალაქი თბილისი, დასახლება ზაჰესი, ქუჩა მშვიდობა, №104-ის მიმდებარედ, შპს „ტრანს გარანტი“-ს (ID: 200254802) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.72.12.094.002, ასაშენებელი III კლასის სასაწყობე შენობის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს ამავე და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების არსებულ ტექნიკურ მდგომარეობაზე.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი, კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძეს
ვახტანგ გივის ძეს
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს [illegible]
[illegible]
და 1985 წელს დაამთავრა [illegible]
[illegible]
[illegible]
სრული კურსი სპეციალობით [illegible]
და [illegible]

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„3" [illegible] დადგენილებით
[illegible]
[illegible]
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 „29" 05

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан *Джапаридзе Вахтангу Гивиевичу*
в том, что он в 19*80* году поступил
в *Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина*
и в 19*85* году окончил полный курс
названного института
по специальности *промышленное и гражданское строительство*

Решением Государственной экзаменационной комиссии от [illegible] 19*85* г.
[illegible]
присвоена квалификация *инженера-строителя*

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М. П. Город *Тбилиси* „*29*" *05* 19*86* г.

Регистрационный № *1276*

Georgia IDENTITY CARD
საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG
გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE
მოქ. / CIT GEO
სქესი / SEX მმ / M
პირადი No / PERSONAL No 01005021796
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 10.06.1963
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY 26.06.2026
ბარათის No / CARD No 15IC19267
ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

```
IDGEO15IC19267501005021796<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<
```

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ"-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა"-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015"-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი"-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი"-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS"-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსრტუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	შპს „ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963წ.
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
ოჯახური მდგომარეობა	აუტანელი
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	38 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	23 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2024წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	16.12.2024წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება:
მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე



სახელმწიფო ლიცენზია

სლც№ 4122

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე

ეძლევა შპს „ბაზისი XXI“

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის № 63-ა

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა ლიცენზია გაცემულია 11122004წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, სპეციალიზებული მუდმივმოქმედი სალიცენზიო-სანებართვო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ლეჟავა

საქართველო, შპს „ბაზისი XXI“ GEORGIA, "BAZISI XXI" LTD 202235296

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე
№4177 სახელმწიფო ლიცენზიის
დანართი

ჩამონათვალი

საპროექტო – სამშენებლო საქმიანობის სახეებისა, რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა შპს-ს „ბაზისი XXI“

1. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება (მ.შ. ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება):*
   - საცხოვრებელი შენობები:
     ბ. ხუთსართულიანი (მანსარდის ჩათვლით);
   - საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები:
     ბ. ხუთ სართულამდე ან 18 მ. სიმაღლის და დახურული საშუალო სირთულის კონსტრუქციის დარბაზები.
2. *სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:*
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;
   - სამრეწველო ობიექტები:
     ა. მცირე სიმძლავრის.
3. *პროექტების ექსპერტიზა:*
   - საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები.
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;

გაცემულია 2004 წლის 14 დეკემბერს.

სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ალბერტ ჯანელიძე

შპს „ბაზისი XXI“ საქართველო GEORGIA "BAZISI XXI" LTD 202235296

შპს „არქსტუდიო“

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

ქალაქი თბილისი, ზაჰესი, ქუჩა მშვიდობის, #104

შპს „ტრანს გარანტი“-ს

კუთვნილი მიწის ნაკვეთის

(საკ.კოდი 01.72.12.094.002)

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

დირ : ზ.ნაზღაიძე



თბილისი

2024 წ

სარჩევი:

1. სარჩევი --- 2
2. ფოტომასალა ---- 3
3. ტექნიკური დავალება ---- 4
4. მიწერილობა ------ 5
5. შესავალი ---- 6
6. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ---- 7
7. სპეციალური ნაწილი ---- 9
8. დასკვნები და რეკომენდაციები ---- 12
9. გამოყენებული ლიტერატურა ---- 14

დანართები:

1. გრუნტების კვლევის ლაბორატორიული შედეგები
2. სამთო გამონამუშევართა განლაგების სქემა;
3. ლითოლოგიური ჭრილები;
4. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი;









ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – საწყობის დანიშნულების შენობა-ნაგებობა;

დამკვეთი – შპს „ტრანს გარანტი“;

ობიექტის მდებარეობა – ქალაქი თბილისი, ზაჰესი, ქუჩა მშვიდობის, #104,
საკ.კოდი 01.72.12.094.002;

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი – ახალი;

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – III კლასი;

ობიექტის ტექნიკური დახასიათება – რკ/ბეტონის კარკასი, ბეტონის ბლოკის შევსებით,

შენობის სართულიანობა - ორი მიწისზედა ერთი მიწისქვეშა სართული;

საძირკვლის სავარაუდო ტიპი – დადგინდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შემდეგ;

საპროექტო სავარაუდო დატვირთვა სამ.-ის ფუძეზე 300კნ;

საველე სამუშაოები – გაყვანილი იქნას 2 ჭაბურღილი, სიღრმე სნ და წ. 1.02.07-87
შესაბამისად;

მოთხოვნა – დადგინდეს სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე გრუნტების გეოლოგიური მდგომარეობა (ფენის სიმძლავრე, გრუნტის წყლის მონაცემები-არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე დადგინდეს გრუნტის ამგები ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, ჩატარდეს კლდოვანი ქანების გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე (არსებობის შემთვევაში);

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული 1 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

ტექნიკური დავალება გასცა: არქიტექტორი: ბ.ჯინჭარაძე;

მიწერილობა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს 1.19 პუნქტის მეორე შენიშვნის და 1.22 პუნქტის, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85-ის (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნების საფუძველზე/

ს.ნ. და წ. 11-105-97 „სამუშაოთა წარმოების საერთო წესები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრა სამთო გამონამუშევრების სახე, სიღრმე და სიხშირე, ასევე განისაზღვრა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის ხარისხი.

ტექნიკური დავალების თანახმად, მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, გათვალისწინებულია ავტონაწილების სასაწყობე დანიშნულების ობიექტის შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად კვლევის წინაშე დასმულია შემდეგი ამოცანები:

1.საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;

2.გრუნტის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა;

3.საკვლევ უბანზე და მის მიმდებარედ ტერიტორიაზე მოქმედი გეოლოგიური პროცესების გამოვლინება და მათი პროგნოზირება;

4.საკვლევ უბანზე მოსალოდნელი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარების პროგნოზირება.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1. არსებული ფონდური მასალის შეგროვება, დამუშავება
2. საკვლევი მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეკოგნოსცირება;
3. საკვლევი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა;
4. 2 ჭაბურღილის გაყვანა, სიღრმე სნ და წ. 1.02.07-87 შესაბამისად;
5. გრუნტის დასინჯვა და სინჯების ელება;
6. გრუნტის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა და მონაცემთა დამუშავება;
7. კამერალური სამუშაოების ჩატარება;
8. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა;

1. შესავალი

2024 წლის აგვისტო-სექტემბერში, ქალაქ თბილისში, ზაჰესი, მშვიდობის ქუჩა #104, საკ.კოდი 01.72.12.094.002, ჩატარებული იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მათ შორის:

- საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 16 აგვისტოს;
- ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოები 16 აგვისტო-01 სექტემბერი;
- საველე და ლაბორატორიული კვლევის მასალების კამერალური დამუშავება და ანგარიშის შედგენა 20-01 სექტემბერს;

კვლევის მიზანს შეადგენდა მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე რაიმე საშიში გეოლოგიური მოვლენის შეფასება.

მშენებლობისათვის განკუთვნილი ნაკვეთი მდებარეობს ქალაქი თბილისის გარეუბანში, ზაჰესში, ტრანსმაგისტრალური ავტოტრანსპორტის კომპანიის ავტოფარეხში. ტერიტორიის რელიეფი ხელოვნურად მოსწორებულია და ბეტონის არმირებული ფილითაა მოწყობილი. საპროექტო შენობის განთავსების ადგილი, მისასვლელ გზას და არსებული შენობას შორის არის განსაზღვრული. ეს ადგილი კი ქანობიანია. ტოპო-გეგმის მიხედვით აბსოლუტური ნიშნულები შენობის განთავსების არეალში +507,50 – 510,50-მ-ის ფარგლებშია. დავალების მიხედვით, მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, გათვალისწინებულია ავტოტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის საჭირო სასაწყობე დანიშნულების შენობის მშენებლობა, რომელიც ერთგვარად რელიეფზე იქნება მორგებული, ორი მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულით.

საკვლევ უბანზე, ლითოლოგიური და გეოლოგიური ჭრილების დადგენის მიზნით, გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი. ბურღვა მიმდინარეობდა მექანიკურ-სვეტური მეთოდით, საბურღი დანადგარით УГБ-2, 127 მმ დიამეტრით. თითოეული ჭაბურღილის სიგრძე 10,0 მეტრი.სამთო ნამუშევრების საერთო სიგრძემ შეადგინა 20.0 მეტრი. სამთო გამონამუშევრების გაყვანის დროს ხდებოდა გრუნტების დასინჯვა. გრუნტის ფენები აღიწერა გოსტ 25.100-82 მოთხოვნათა მიხედვით. აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის ოთხი სინჯი და ერთი გრუნტის წყლის სინჯი ანალიზისთვის. ნიმუშების აღების შემდეგ, მოხდა მათი ამოვსება განაბურღი გრუნტით. გრუნტის ლაბორატორიული კვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი შესრულდა შპს „წყალი და გრუნტი“-ს გრუნტების კვლევის ლაბორატორიაში.

კვლევები ჩატარებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად - ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო

გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (პნ 02.01-08) შენობების და ნაგებობის ფუძეები, ს.ნ. და წ. (პნ 01.01-09) სეისმომედეგი მშენებლობა, ს.ნ. და წ. IV-5-82 ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები) ს.ნ. და წ. 2.03.11-85 (სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტების კლასიფიკაცია).

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების გამოყენებით შედგენილია წინამდებარე დასკვნა, რომელშიც გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს, გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიში: „ქ.თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება“, გ.ჯაფარიძის „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები და მონაცემთა კამერალური დამუშავება ჩატარებული იქნა ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ.

2, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, გეომორფოლოგია, ჰიდროგეოლოგია, სეისმურობა, სამშენებლო კლიმატოლოგია

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი უბანი მდებარეობს ძეძვი-მახათას მაღლობის ჩრდილო-დასავლეთ დაბლობისა და ავჭალის ვაკის გარდამავალ ზოლში. იგი მცირედ დახრილია სამხრეთის მიმართულებით.

ტექტონიკური თვალსაზრისით ტერიტორია მოთავსებულია ქვემო ავჭალის სინკლინის სამხრეთ ფრთაზე, რომელიც აგებულია ქვედა მიოცენური ასაკის ე.წ. “კოწახურის” ჰორიზონტის მუქი, მოშავო ფერის სუბარგილიტებით და ღია ნაცრისფერი თხელშრეებრივი ქვიშაქვების შუაშრეებით. ძირითადი ქანების ვარდნის აზიმუტია ჩა 80^0, დახრის კუთხე 30-35^0. ისინი დაფარულნი არიან მეოთხეული ასაკის დელუვიურპროლუვიური თიხებითა და თიხნარებით.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა, და გავრცელება განისაზღვრება ძეძვი-მახათას მაღლობის ჩრდილოეთი ფერდობის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. ტერიტორიის ამგები ქანები თავისი თიხოვანი შედგენილობის გამო მცირედ არიან გაწყლოვანებულები და წყლის გამოჩენას სპონტანური ხასიათი აქვს. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევის დროს კი, გრუნტის წყალი ორივე ჭაბურღილში გაიხსნა, გახსნის დონე #1 ჭაბურღილში -3,20-3,10 მ და დგომა --2,80-3,00 მეტრი, ხოლო #2 ჭაბურღილში გახსნის დონე -6,00 მეტრი და დამყარების დონე -5,70-6,00 მეტრი;

საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის 01.01.09 – **„სეისმომედეგი მშენებლობა“**-ს თანახმად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით საკვლევი უბანი მიეკუთნება 8 ბალიან ზონას, ხოლო მიწისძვრების ტალღების მაქსიმალური

ჰორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) მახასიათებელი საკვლევ უბანზე – 0,17;

დაპროექტების ნორმების სნ. და წ. 01.05-08-„**სამშენებლო კლიმატოლოგია**“-ს მიხედვით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III გ ქვერაიონს.

ქ.თბილისის და მისი შემოგარენის კლიმატი არის ზომიერად კონტინენტური, ჰაერის კარგად გამოხატული ჩრდილო-დასავლეთის და აღმოსავლეთის მოძრაობით. კლიმატი საერთო ჯამში ზომიერია და კარგ პირობებს ქმნის მშენებლობისთვის.

ქარების უდიდესი საშუალო სიჩქარე შეადგენს 25-30 მ/წმ, მაქსიმალური სიჩქარეები აღინიშნება მარტი-აპრილის პერიოდში, შედარებით მშვიდი თვეებია ნოემბერ-დეკემბერი. ქარის მაქსიმალური სიჩქარე 32 მ/წმ.

ქ.თბილისში საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 10-12.5^0 -მდე. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0.3^0 c. ყინვები შეიძლება დაიწყოს ნოემბერში და გაგრძელდეს მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია - 23^{0}C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურით 24^{0}C. აბსოლუტური მაქსიმუმი 40^{0}C.

ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა 65%-მდეა.

მოსული ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ 560 მმ-ა. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში, მინიმალური კი იანვარში.

ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ არის 89.

ნალექების დღეღამური მაქსიმუმი 147 მმ-ა. ჭექა-ქუხილიანი დღეების საერთო წლიური რაოდენობაა 49, მათ შორის თბილ პერიოდში (48).

სეტყვის უდიდესი ნაწილი მოდის მაისში (6), ხოლო თითო-თითო კი ივნისში, ივლისსა და სექტემბერში

თოვლის საფარი სპორადულ ხასიათს ატარებს და მცირე ხნით ხასიათდება.ის შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე და ყოველ წელს არ მოდის. თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიდიდემ შეიძლება 30-40 სმ-ს მიაღწიოს, ხოლო უმთავრესად 10 სმ-ს არ აჭარბებს. თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა, დღეთა რიცხვი – 14;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

3. სპეციალური ნაწილი

საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი რაიონი სამშენებლო ნორმებით 1.02.07.87წ. დანართი 10-ის მიხედვით, მიეკუთვნება II (საშუალოდ რთული) კატეგორიას;

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში (დაღმავალი ჭრილით) დაძიებულ სიღრმემდე (-10,00 მ) გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა 1 - ნაყარი, ტექნოგენური, (tQIV);

ფენა 2 - თიხნარი, ნახევრად მყარი (dQIV);

ფენა 3 - თიხა, მყარი, ელუვირებული ძირითადი ქანი;

3.1 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა - 1 - ნაყარი, ტექნოგენური, გრუნტი. ბეტონის ფილის, სამშენებლო ინერტული მასალების (ბალასტის ფენა) და თიხოვანი გრუნტის ნაერთი. ეს ფენა ფუძე-გრუნტად არარეკომენდირებულია და ამიტომ მისი თვისებები არ დასინჯულა. სიმძლავრე #1 ჭაბურღილში 0,00-მ-დან -1,00 -მ-მდე და #2 ჭაბურღილში 0,00-მ-დან -1,50-მ-მდე.

ფენა - 2 - თიხნარი, ნახევრად მყარი, დელუვიური (dQIV) წარმოშობის, ყავისფერი, თიხაქვიშის შუაშრეებით და ლინზებით, წვრილი ხრეში მცირე ჩანართებით, მარილების ჩანაწინწკლებით, საშუალოდ კარბონატული.

დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშებს ჩაუტარდათ ლაბორატორიული გამოკვლევა. გრუნტების ფიზიკური თვისებების შედეგები მოცემულია ცხრილი #1-ში.

##	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
					ფენა 2	ფენა 2
1	პლასტიკურო-ბის რიცხვი		I_p	–	14,29-15,91	**14,86**
2	ტენიანობა		**W**	%	20,7-21,8	**21,2**
3	სიმკვრივე	გრუნტის	**ρ**	გ/სმ³	1,87-1,89	**1,88**
		მშრალი გრუნტის	$ρ_d$		1,55-1,56	**1,55**
		გრუნტის ნაწილაკების	$ρ_s$		2,71-2,72	**2,71**
4	ფორიანობა		**n**	%	42,62-43,04	**42,80**
5	ფორიანობის კოეფიციენტი		**e**	–	0,743-0,756	**0,748**
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,01-0,05	**0,03**
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,75-0,79	**0,77**
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე		W_L	ერთ.ნაწ	35,23-36,02	**35,56**

9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W_p	ერთ.ნაწ	20,11-21,06	**20,70**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება ნახევრად მყარი კონსისტენციის, საშუალოდ წყალნაჯერ თიხნარებს, რადგან I_p = 14,8, I_L = 0,03 და S_r = 0,77.

სიმტკიცის მახასიათებლები განისაზღვრა „კონსოლიდირებული ძვრის“ სქემით, უწყლო გარემოსთვის.

მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

<u>ბუნებრივ მდგომარეობაში :</u>

- ხვედრითი შეჭიდულობა **C= 25,28 კპა** (**0,25** კგძ/სმ2)
- შინაგანი ხახუნის კუთხე **φ° = 23,1⁰**

<u>წყალგაჯერებულ მდგომარეობაში:</u>

- ხვედრითი შეჭიდულობა **C= 22,97 კპა** (**0,23** კგძ/სმ2)
- შინაგანი ხახუნის კუთხე **φ° = 21,7⁰**

<u>ეს მნიშვნელობები მიღებული იქნება საანგარიშოდ.</u>

გამოცდის შედეგები ასახულია ძვრის გრაფიკზე და ერთვის დასკვნას.

შესწავლილი იქნა გრუნტის კომპრესიული თვისებები, რომელიც შესაწავლილია ერთი მრუდის მეთოდით, P=0.05 მპა საფეხურებრივად დატვირთვებით, P=0.4 მპა ვერტიკალურ დატვირთვამდე, ბუნებრივ მდგომარეობაში, წყლის მიწოდებით P=0.2 მპა-ზე.

დეფორმაციის მოდულის საშუალო მნიშვნელობა, დატვირთვების საწყის ინტერვალში ტოლია

<u>ბუნებრივ მდგომარეობაში :</u>

E= 16877 კპა (**170** კგძ/სმ2).

<u>წყალგაჯერებულ მდგომარეობაში:</u>

E= 14757 კპა (**150** კგძ/სმ2).

<u>ეს მნიშვნელობა მიღებული იქნება საანგარიშოდ.</u>

გამოცდის შედეგები ასახულია ძვრის გრაფიკზე და ერთვის დასკვნას.

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **- I სგე.**

ფენის სიმძლავრე: #1 ჭაბურღილში -1,00-მ-დან -7,50 -მ-მდე და #2 ჭაბურღილში -1,50-მ-დან დაძიებულ -10,00-მ-მდე.

ფენა - 3 - თიხა, ღია ყავისფერი, მყარი, გამოჟანგული შრეებით, არა კარბონატული, ელუვირებული ძირითადი ქანი;

დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშებს ჩაუტარდათ ლაბორატორიული გამოკვლევა. გრუნტების ფიზიკური თვისებების შედეგები მოცემულია ცხრილი #2-ში.

#	ფიზიკური მახასიათებლები		განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
				ფენა 3	ფენა 3
1	პლასტიკურო-ბის რიცხვი	I_p	–	17,89	**17,89**
2	ტენიანობა	**W**	%	18,1	**18,1**
3	სიმკვრივე: გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,96	**1,96**
	მშრალი გრუნტის	ρ_d		1,66	**1,66**
	გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,71	**2,71**
4	ფორიანობა	**n**	%	38,76	**38,76**
5	ფორიანობის კოეფიციენტი	**e**	–	0,633	**0,633**
6	დენადობის მაჩვენებელი	I_L	–	-0,03	**-0,03**
7	ტენიანობის ხარისხი	S_r	–	0,78	**0,78**
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ	36,52	**36,52**
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W_p	ერთ.ნაწ	18,63	**18,63**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება მყარი კონსისტენციის, საშუალოდ წყალნაჯერ თიხებს, რადგან I_p = 17,9, I_L = -0,03 და S_r = 0,78.

სიმტკიცის მახასიათებლები განისაზღვრა „კონსოლიდირებული ძვრის“ სქემით, უწყლო გარემოსთვის.

მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

<u>ბუნებრივ მდგომარეობაში :</u>

- ხვედრითი შეჭიდულობა **C= 69,46 კპა** (**0,69** კგძ/სმ2)
- შინაგანი ხახუნის კუთხე **φ° = 20,6⁰**

<u>წყალგაჯერებულ მდგომარეობაში:</u>

- ხვედრითი შეჭიდულობა **C= 67,54 კპა** (**0,67** კგძ/სმ2)
- შინაგანი ხახუნის კუთხე **φ° = 18⁰**

<u>ეს მნიშვნელობები მიღებული იქნება საანგარიშოდ.</u>

გამოცდის შედეგები ასახულია ძვრის გრაფიკზე და ერთვის დასკვნას.

აღნიშნული ფენა გამოყოფილია, როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **- II სგე.**

ფენა დაფიქსირდა მხოლოდ #1 ჭაბურღილში, სიმძლავრე: -7,50 მეტრიდან დაძიებულ -10,00 მეტრამდე;

დასკვნები და რეკომენდაციები:

- საკვლევი უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს ძეძვი-მახათას მაღლობის ჩრდილო-დასავლეთ დაბლობისა და ავჭალის ვაკის გარდამავალ ზოლში. იგი მცირედ დახრილია სამხრეთის მიმართულებით.
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გეოლოგიური საფრთხეების განვითარების დაბალი რისკის ზონაში. ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი მდგრადია და მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, სუფოზია და სხვა) განვითარებული არ არის და არც რაიმე საინჟინრო ღონისძიების გატარების საჭიროება არ არის.
- საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი რაიონი სამშენებლო ნორმებით 1.02.07.87წ. დანართი 10-ის მიხედვით, მიეკუთვნება II (საშუალოდ რთული) კატეგორიას;
- საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში (დაღმავალი ჭრილით) დაძიებულ სიღრმემდე გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა - 1 - ნაყარი, ტექნოგენური, გრუნტი. ბეტონის ფილის, სამშენებლო ინერტული მასალების (ბალასტის ფენა) და თიხოვანი გრუნტის ნაერთი. ეს ფენა ფუძე-გრუნტად არარეკომენდირებულია და ამიტომ მისი თვისებები არ დასინჯულა. სიმძლავრე #1 ჭაბურღილში 0,00-მ-დან -1,00 -მ-მდე და #2 ჭაბურღილში 0,00-მ-დან -1,50-მ-მდე.

ფენა - 2 - I სგე - თიხნარი, ნახევრად მყარი, დელუვიური (dQIV) წარმოშობის, ყავისფერი, თიხაქვიშის შუაშრეებით და ლინზებით, წვრილი ხრეში მცირე ჩანართებით, მარილების ჩანაწინწკლებით, საშუალოდ კარბონატული.

ბუნებრივ და წყალგაჯერებულ მდგომარეობაში: საშუალოდ კუმშვადი, კუმშვადობის კატეგორია III.

ფენის სიმძლავრე: #1 ჭაბურღილში -1,00-მ-დან -7,50 -მ-მდე და #2 ჭაბურღილში -1,50-მ-დან დაძიებულ -10,00-მ-მდე.

ფენა - 3 - II სგე - თიხა, ღია ყავისფერი, მყარი, გამოჟანგული შრეებით, არა კარბონატული, ელუვირებული ძირითადი ქანი;

ფენა დაფიქსირდა მხოლოდ #1 ჭაბურღილში, სიმძლავრე: -7,50 მეტრიდან დაძიებულ -10,00 მეტრამდე;

- ქვემოთ #3 ცხრილში მოცემულია ორივე სგე–ს გრუნტების ფიზიკურ–მექანიკური მახასიათებლების პარამეტრების საანგარიშო მნიშვნელობები მიღებული როგორც ლაბორატორიული გამოკვლევებით, ასევე ს.ნ. და წ. „შენობების და ნაგებობების ფუძეები“

(პნ 02.01-08)–ის დანართი 2-ს და 3-ს ცხრილების მიხედვით.

##	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები	
		I სგე	II სგე
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1,95	1,96
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	23 (0.23)	67 (0.67)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	22^0	18^0
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)	15 (150)	24 (240)
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)	250 (2,5)	300 (3.0)
9	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ^3	2,0	3,0
10	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,35	0,42

შენიშვნა: საანგარიშო მნიშვნელობებში გამოყენებულია შემდეგი საიმედოობის კოეფიციენტები, მზიდუნარიანობის ანგარიშის დროს Yg(c) = 1,5, და Yg(ϕ) =1,15;

- **მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების** მხრივ ავღნიშნავთ, რომ გრუნტის წყალი ორივე ჭაბურღილში გაიხსნა, გახსნის დონე #1 ჭაბურღილში -3,20-3,10 მ და დგომა --2,80-3,00 მეტრი, ხოლო #2 ჭაბურღილში გახსნის დონე -6,00 მეტრი და დამყარების დონე -5,70-6,00 მეტრი;

საერთო მინერალიზაციის სიდიდე 3.04 გ/ლ ტოლია, რომლის მიხედვით მლაშე, მარილიანი წყლების კატეგორიას მიეკუთვნება. ხოლო ქიმიური შედგენილობით სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია (6.65).

